

განმარტო



I. ზოგადი მიმოხილვა

1. ტერიტორიის ფართობი

კახეთის ტერიტორიის ფართობი შეადგენს 11.4 კვ.კმ, რაც მთლიანი ტერიტორიის 16.2%-ია.



რეგიონს ესაზღვრება მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი. კახეთს სახელმწიფო საზღვარი აქვს აზერბაიჯანთან.

2. თვითმმართველი ერთეულები

რეგიონის ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეულებია: თელავის, ახმეტის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტები.

რეგიონში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, ხოლო ადმინისტრაციული ცენტრია – ქ. თელავი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 150კმ-ია.

II. გუნებრივი რესურსები და ბარემო

1. მინერალურ-რემკვანციური რესურსი

რეგიონში მოიპოვება შემდეგი მინერალური რესურსები: ლოპოტის მარმარილოს მაგვარი კირქვა, ნაფარეულის კირქვა, სააგურე თიხა, ნავთობი, გაზი, თიხა სააგურე და სადრენაუო, მინერალური წყალი “უჯარმა”, დიაბაზი, სამშენებლო გაჯი.

2. წყლის რესურსი

მხარის რეგიონი მდიდარია წყლის რესურსით, მოედინება შემდეგი მდინარეები: ალაზანი, იორი, ილტო, ხოლაშნისხევი, სტორი,

თურდო, ჩელთი, ლოპოტა, კისისხევი, ღურუჯი, ჭერმისხევი, კაბალი, გომბორი, ლაბინხევი, ლაკბე და ოლე.

3. ენერგეტიკა

კახეთში ფუნქციონირებს 4 პიღრო-ელექტროსადგური:

- “ხადროპესი”- ახმეტა
- “იწნობაპესი” – ყვარელი
- “კაბალპესი” - ლაგოდეხი
- “ალაზანპესი” - გურჯაანი

ყველა მუნიციპალური ცენტრი უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით. სისტემაში ჩართულია ქალაქის მოსახლეობის 88% და სოფლის მოსახლეობის 23%. მოსახლეობის ნაწილი იყენებს თხევად საწვავს (თხევად გაზს) და მყარ საწვავს (შემას).

III. ადამიანური, სოციალური და კულტურული პაპიტალი

1. მოსახლეობა

2009 წლის წინასწარი მონაცემებით რეგიონის მოსახლეობა 401.4 ათას კაცს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 9.1%-ია. 2008 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 0.12%-ით შემცირდა.

თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობა (2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით) ყველაზე ბევრი გურჯაანის მუნიციპალიტეტზე მოდის – 69.9 ათასი კაცი, რაც კახეთის მთლიანი მოსახლეობის 17%-ია. შემდეგ მოდის თელავის მუნიციპალიტეტი – 69.8 ათასი კაცი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი – 59.0 ათასი კაცი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი – 51.3 ათასი კაცი და ა.შ.

კახეთში 2008 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ 4981 კაცი შეადგინა, ხოლო გარდაცვალებულთა რაოდენობა – 4713 კაცი.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგი სახისაა:

- ქართველი – 343 590 კაცი

- სომეხი – 3441 კაცი
- აზერბაიჯანელი – 40344 კაცი
- რუსები – 3299 კაცი
- ოსები – 6333 კაცი
- უკრაინელები – 126 კაცი
- იეზიდები – 426 კაცი
- ბერძნები – 244 კაცი
- აფხაზები – 108 კაცი
- ქისტები – 8242 კაცი
- სხვადასხვა – 3393 კაცი
(2007 წლის მონაცემები)

2. განათლება

მხარეში ფუნქციონირებს შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალი;
- თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008/2009 წლებში იყო 3571 კაცი, რაც მთლიანად საქართველოს სტუდენტთა რაოდენობის 3.8%-ია.

3. სოციალური უზრუნველყოფა

პენსიონერების რიცხოვნობამ 2008 წელს 82 262 კაცი შეადგინა, რაც საქართველოს პენსიონერთა რაოდენობის 9.8%-ია.

4. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა

კახეთის მხარე მდიდარია ისტორიული ძეგლებით. აქ განთავსებულია საქართველოში არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების 2/3, მათ შორისაა: ძველი შუამთის (V–VII სს) და ახალი შუამთის (XVI ს) მონასტრები, იყალთოს სამონასტრო კომპლექსი (XI-XII სს), ბახტრიონის ციხე-გაღავანი (XII ს), ალავერდის ანსამბლი (XI ს), მატნის ცხრა-კარის მონასტერი (V ს), გრემის მთავარ-ანგელოზის ტაძარი (1565 წ.), ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი (IV-IX სს), დავით გარეჯის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი (VI ს.), უჯარმის ციხე-ქალაქი (VI ს), ბოდბის გამოქვაბულთა კომპლექსი (XI-XIII სს.), წმ.

ნონოს სამონასტრო კომპლექსი, ხირსის მონასტერი, თამარის ციხე (შუა საუკუნეები), ხორნაბუჯის ციხე (ადრეული შუა საუკუნეები) და სხვა.

IV. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

1. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

კახეთის ტერიტორიაზე მოქმედებს საერთაშორისო საქალაქო - სატელეფონო ციფრული ქსელი. ტერიტორია სრულად არის დაფარული მობილური სატელეფონო კავშირით. თელავსა და გურჯაანში დანერგილია თანამედროვე ჩინური ტექნოლოგიები (ციფრული სატელეფონო ქსელი), თელავის მცხოვრებლებს, ასევე, საშუალება აქვთ ისარგებლონ ინტერნეტის თანამედროვე მომსახურებით.

2. საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა

რეგიონში კარგადაა განვითარებული საავტომობილო ტრანსპორტი. სამგზავრო გადაზიდვებს ემსახურება 20-მდე სატრანსპორტო საწარმო. ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქს უკავშირდება ორი გზით: გომბორის უღელტეხილის გადასასვლელით და გომბორის ქედის გარს შემოვლითი გზით (თელავი – გურჯაანი – თბილისი). სახელმწიფო მნიშვნელობის გზების სიგრძეა 580 კმ, რომელთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და პასუხობენ საშუალო სტანდარტებს. საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის სიგრძეა – 125კმ. რკინიგზის სიგრძეა 150 კმ, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია.


მხარეში არსებული აეროპორტებიდან მოქმედია თელავის აეროპორტი, რომელიც მხოლოდ შეველმფრენებისათვის გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ თელავის აეროპორტის ინფრასტრუქტურა მცირე ინვესტიციებითაც კი შესაძლებელია სრულად ამოქმედდეს.

რეგიონში 2004-2008 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ჯამში 151.4 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთზე. 2009 წელს სამუშაოები მიმდინარეობს 126 კმ-ის გზის მონაკვეთზე.

V. ადგილობრივი ეკონომიკა

1. რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები

კახეთში 2009 წლის I კვარტალში რეგისტრირებულია 15071 ეკონომიკური სუბიექტი, რაც საქართველოში სულ რეგისტრირებულ სუბიექტთა 5.4%-ია.



2008 წელს რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობამ კი 14301 შეადგინა.

2. დასაქმება

2008 წელი	კახეთი		საქართველო
	რაოდენობა	წილი	რაოდენობა
სულ აქტიური მოსახლეობა	205.3	10.7	1917.8
მომუშავე	186.2	11.6	1 601,9
დაქირავებული	44.3	7.7	572,4
თვითდასაქმებული	141.5	13.8	1 028,5
გაურკვეველი	0.4	36.0	1,1
უმუშევარი	19.1	6.1	315,8
უმუშევრობის დონე (%)	9.3		16,5
აქტიურობის დონე (%)	70.3		62,6
დასაქმების დონე (%)	63.8		52,3


დასაქმებულთა რაოდენობა კახეთის რეგიონში 2009 წლის I ნახევარში იყო 12 762 კაცი, რაც საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის 4%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0,6%-ით მეტია.

3. ეკონომიკა

კახეთში შექმნილმა მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 2008 წელს 1544.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12.4%-ით მეტია, ხოლო

საქართველოს მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 9.3%-ია.

რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი სოფლის მეურნეობის სექტორს უკავია – 282.7 მლნ. ლარი, მრეწველობას – 214.7 მლნ. ლარი, სახელმწიფო მმართველობას – 208.2 მლნ. ლარი და ვაჭრობას – 207.1 მლნ. ლარი.



აღსანიშნავია, რომ 2008 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზრდა მშენებლობის სექტორში – 74.5% დაფიქსირდა, სახელმწიფო მმართველობის სექტორში – 19.7%, სოფლის მეურნეობაში – 10.4%, ხოლო მომსახურებაში – 16.9%.

რეგიონში 2004-2008 წლებში ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროში გაიზარდა პროდუქციის გამოშვების და ბრუნვის მოცულობა. ცხრილში წარმოდგენილია 2008 წლის მონაცემები.

2008 წელი		კახეთი		საქართველო
		რაოდენ.	%	რაოდენ.
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	4 592	5,4%	85 711
	ბრუნვა (მლნ. ლ)	103,9	2,2%	4 637,6
	გამოშვება (მლნ.ლ)	93,6	2,4%	3 821,8
სამეწარმეო სფერო	დასაქმება (კაცი)	12 552	3,6%	349 250
	ბრუნვა (მლნ. ლ)	242,2	1,2%	19 650,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	152,1	1,5%	10 248,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმ.	დასაქმება (კაცი)	294	0,6%	50 560
	ბრუნვა (მლნ. ლ)	4,0	0,1%	3 004,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	1,0	0,0%	2 043,6
მშენებლობა	დასაქმება (კაცი)	964	2,5%	38 109
	ბრუნვა (მლნ.ლ)	17,3	1,2%	1 412,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	17,3	1,2%	1 434,7
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	2 163	3,9%	55 278
	ბრუნვა (მლნ.ლ)	92,7	1,0%	9 238,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	12,7	0,9%	1 464,7

4. სოფლის მეურნეობა

კახეთში გამორჩეულია ორი მთავარი ფიზიკურ - გეოგრაფიული მხარე:

1. შიდა კახეთი - მდ. ალაზნის ველზე მევენახეობის, მარცვლეული კულტურების, მებოსტნეობის ზონა, მეცხოველეობის მნიშვნელოვანი როლით.

2. გარე კახეთი - მდ. ივრის ზეგანზე მეცხოველეობის, მევენახეობა-მეხილეობის ზონა, მზესუმზირის, მარცვლეული მეურნეობის, მებოსტნეობის მნიშვნელოვანი განვითარებით.

კახეთის წილად მოდის საქართველოს ვენახების საერთო ფართობის და ყურძნის მოსავლის თითქმის 50%. აქ ყოველწლიურად იკრიფება 120-150 ათასი ტონა ყურძენი. გავრცელებულია ისეთი უნიკალური ჯიშები როგორცაა: რქაწითელი, მწვანე, ხიხვი, საფერავი, ქისი და სხვა.

მარცვლეული კულტურებიდან მნიშვნელოვანია საშემოდგომო ხორბალი, ქერი და სიმინდი. მათი საშუალო წლიური მოსავლიანობა 140-180 ათას ტონას შეადგენს.

მზესუმზირის ნათესების დიდი წილი მოდის დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეგოს, გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებზე.

კახეთისათვის ტრადიციულად მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა, რასაც ხელს უწყობს, როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრების დიდი ფართობები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შეადგენს 140 ათასს, წვრილფეხა პირუტყვისა (ცხვარი, თხა) -315 ათასს, ხოლო ღორის - 70 ათასს.

კახეთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წამყვანი სახეებია: ყურძენი, მარცვლეული, პარკოსნები, მზესუმზირა, კარტოფილი, ბაღჩეული, ბოსტნეული, თხილი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს 583 981-ჰა. აქედან: სახნავი - 203 341 ჰა, საძოვარი - 330 698 ჰა, სათიბი- 2 587 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები - 47347 ჰა.

5. საფშენებლო სექტორი

კახეთში 2007 წელს ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე გაიჭა 68 ნებართვა. საპროექტო ობიექტების საერთო ფართობი იყო -

4187 კვ.კ. რაც შეეხება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებზე გაცემული ნებართვების რაოდენობას, კახეთის რეგიონში 2007 წელს გაიჭა 74 ნებართვა, საპროექტო ობიექტების საერთო ფართობმა 24 491.2 კვ.მ შეადგინა.

2008 წლის I - III კვ-ში კახეთის რეგიონში გაცემული იქნა 97 ნებართვა და ობიექტის საერთო საპროექტო ფართი იყო - 88 537.3 კვ.მ.

6. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით კახეთში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა იყო 2673, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 7.2 პროცენტია. მათ შორის:

- მსხვილი საწარმოა - 51
- საშუალო საწარმო -126
- მცირე საწარმო -2496

რეგიონში მოქმედი მსხვილი საწარმოებია:

თელავი:

- სს „კახეთისენერგოდისტრიბუცია“ - ელ.ენერჯის განაწილება და გაყიდვა;
- შპს „ბუნებრივი აირი“ - საცალო ვაჭრობა ძრავის სათბობით;
- სს „თელავის ღვინის მარანი“ - ღვინის წარმოება;
- შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ - ღვინის წარმოება;
- შპს „გაიმენმენ“ - ღვინის წარმოება;
- შპს „კახეთი XXI-ე საუკუნე“ - საბითუმო ვაჭრობა თამბაქოს ნაწარმით;
- შპს „ნატახტარი-კახეთი“ - საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი და სხვა სასმელებით;
- შპს „სერპანტინი“ - გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
- შპს „კახქსელი“ - ელექტროკავშირი;
- შპს „თელავი“ - საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით;
- „კოკა-კოლა კახეთი“ - საბითუმო ვაჭრობა უაღკოჰოლო სასმელებით.
- შპს „შემი“ - ღვინის წარმოება.

გურჯაანი:

- შპს "მკათათვე" – (ყოფილი ფორტე კახეთი) – ფქვილის წარმოება;
- შპს "აისი" – ნაყინის წარმოება.

საგარეჯო:

- შპს „პატარძული“ – კვერცხის წარმოება;
- შპს „ლუსანი“ – ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება.

სიღნაღი:

- შპს „გიორგი-3“ საცალო ვაჭრობა ძრავის სათბობით.

ყვარელი:

- სს კორპორაცია "ქინძმარაული" – ღვინის წარმოება;

ახმეტა:

- შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაცია“ – ელექტროენერჯის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ.

დედოფლისწყარო:

- "მექანიზატორი – 2005" – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა.

7. საზინანსო სექტორი

კახეთის ტერიტორიაზე მოქმედებს 9 კომერციული ბანკის ფილიალი და 3 საკრედიტო დაწესებულება.

თელავში წარმოდგენილია შემდეგი ბანკების ფილიალები: „თი-ბი-სი ბანკი“, „პროკრედიტ ბანკი“, „სტანდარტბანკი“, „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია“, „საქართველოს ბანკი“, „ბაზისბანკი,“ „სახალხო ბანკი“, ბანკი „რესპუბლიკა“. ასევე წარმოდგენილია საკრედიტო დაწესებულებები – „ფინკა საქართველო“, „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის თელავის ფილიალი“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია).

ახმეტა – „სახალხო ბანკი“

ყვარელი – „საქართველოს ბანკი“, სახალხო ბანკი, ბანკი „რესპუბლიკა“ და ასევე ერთი საკრედიტო დაწესებულება – „კონსტანტა“.

გურჯაანი – „საქართველოს ბანკი“, „ეროვნული ბანკის ფილიალი“, „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია“, „სახალხო ბანკი“, და საკრედიტო

დაწესებულებები – „კონსტანტა“ და „ფინკა საქართველო“.

საჯარეჯოსა და სიღნაღში არის – „სახალხო ბანკის“ და „საქართველოს ბანკის“ ფილიალები.


დედოფლისწყარო – „ტაო ბანკი“ და „სახალხო ბანკი“.

ლაგოდეხი – „სახალხო ბანკი“ და ასევე, საკრედიტო დაწესებულებები – „კონსტანტა“ და „ფინკა საქართველო“

8. პრივატიზაცია

პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა კახეთში 2008 წელს იყო 44, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 34-ით ნაკლებია, ხოლო მთლიანად საქართველოში პრივატიზებული ობიექტების 6.9%-ია.

2004 წლიდან დღემდე კახეთში პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა არის 371, რაც მთლიანად საქართველოში 2004 წლიდან პრივატიზებული ობიექტების 13.8%-ია.



9. სამრეწველო სექტორის ეკონომიკური თანამშრომლობა

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში კახეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოსა და რწმუნებულის აპარატთან ერთად ხორციელდება კახეთის განვითარების პროგრამა, რომელიც დამტკიცებული და ხელმოწერილია 2006 წლის 22 სექტემბერს.

კახეთში სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ: CHF არასამთავრობო ორგანიზაციები: „მერსი ქორი“, „მერლინი“, „ჯეოსიფი“, „უნარ-შეხლდულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის კავშირი“; იაპონიის საელჩო, ასოციაცია „კავკასიის მერიდიანი“ „USAID“

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი, გაეროს სასურსათო პროგრამა, საერთაშორისო ორგანიზაცია, „world vision“, „მსოფლიო სასურსათო პროგრამა“, შვედეთის დახმარების პროგრამა „sida“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბემონი“.

10. განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

კახეთში განხორციელებულია შემდეგი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები:

- გერმანული ინვესტიცია – თელავის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის რეაბილიტაციისათვის;
- ჩინური ინვესტიცია – „ხადორის“ პიდრო-ელექტროსადგურისათვის;
- იტალიური ინვესტიცია – „ბადაგონის“ ღვინის ქარხნისათვის;
- ბულგარული ინვესტიცია – (შპს „არი“) დედოფლისწყაროს ზეთსახდელი ქარხნისათვის;
- რუსული ინვესტიცია – „ქინძმარაულის ღვინის მარნისათვის“
- ისრაელის ინვესტიცია – გურჯაანის ყურძნის კონცენტრატების ქარხნისათვის და სხვ.

11. საინვესტიციო პოტენციალი

- **ილტოს წყალსაცავის** პროექტი, რომლის დანიშნულებაცაა როგორც სარწყავი, ასევე, ენერგეტიკული, სასმელი და სამეურნეო წყალმომარებაც;
- **სტორის პიდროელექტროსადგური** პროექტი ითვალისწინებს მდ. სტორზე (მდ. ალაზნის შენაკადი) თელავის სოფ. ღეჩურის ზედა ნაწილში 8 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობას;
- **მდ. ალაზნის სარწყავი არხების დრენაჟის ვერტიკალური ჭაბურღილების პროექტი** – ვერტიკალური ჭაბურღილების მოქმედების არეალი მოცავს თითქმის მთელი რეგიონის დასახლებულ პუნქტებს, რომელთა უმრავლესობა განიცდის სასმელი და ტექნიკური წყლის მწვავე დეფიციტს;
- **თელავი – გომბორი – ვაზიანის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი** – მასში გათვალისწინებულია გომბორის უღელტეხილზე 2 ცალმხრივი მიმართულების გვირაბის გაყვანა და

ხიდების მშენებლობა. 150 კმ-დან 60 კმ-მდე შემცირდება მანძილი თელავიდან თბილისამდე. პროექტის ღირებულება 42.0 მლნ აშშ დოლარია.

- **სოფლის მეურნეობის** სფეროში ინვესტიციების განხორციელება მძლავრ ბიძგს მისცემს დარგის განვითარებას. შესაძლებელია ასევე სიღნაღში თევზის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა.

უცხოურ ინვესტიციათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციების მოზიდვას რეგიონის მოსაზღვრე აზერბაიჯანიდან. რეალურად არსებობს ორმხრივი დაინტერესება და მიმდინარეობს მოლაპარაკებები ინვესტიციების დაბანდების შესახებ შემდეგ სფეროებში:

- საშენმასალათა და ხე-ტყის წარმოება-გადამუშავება;
- მდინარეებზე მცირე სიმძლავრის ჰესების მშენებლობა;
- წყალსადენებისა და საირიგაციო ნაგებობების მშენებლობა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავება;
- სასაწყობო ობიექტების მშენებლობა და სხვა.

12. ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული მაჩვენებლები 2007-2010 წლებში

კახეთში არსებული ხელსაყრელი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მევენახეობა-მელვინეობა;
- გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინება;
- ტურიზმის განვითარება.

VI. ტურიზმი

1. კურორტები და კოტეჯიანი საკურორტო აღბილები

კახეთი ტურისტული პოტენციალით მდიდარი მხარეა, რაც ტურიზმის შემდეგი სახეობების განვითარების საშუალებას იძლევა:

- რეკრეაციული ტურიზმი – ახმეტა, გურჯაანი, თელავი, საგარეჯო, სიღნაღი და ყვარელი.
- სათავგადასავლო ტურიზმი – ახმეტა, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი;

- ეკოტურიზმი – ასმეტა, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი;
- აგროტურიზმი – ყველა მუნიციპალიტეტში.

ბოლო წლების მანძილზე აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოდერნიზაცია:

ქ. თელავში აშენდა ორი სასტუმრო, თუშეთის ეროვნულ პარკში კეთილმოეწყო 24 საოჯახო სასტუმრო, იზრდება საოჯახო სასტუმროების რიცხვი. მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების კეთილმოეწობა ტურისტების მისაღებად. ღვინის წარმოებაში იქმნება ღვინის ტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და უმჯობესდება მომსახურების ხარისხი. შეიქმნა კახეთის ქალაქების ახალი და მოდერნიზებულ იქნა ძველი ინფრასტრუქტურა, რაც უფრო მიმზიდველს ხდის მხარეს ტურისტებისათვის.

2. თეატრები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები


მხარეში 2008 წელს ფუნქციონირებდა 2 თეატრი და 19 მუზეუმი, რაც მთლიანად საქართველოში თეატრების და მუზეუმების რაოდენობის 12%-ია.

2008 წელს ჩატარდა 53 სპექტაკლი, ხოლო მაყურებელთა რაოდენობა 4000 კაცი დაფიქსირდა.

მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხვი 2008 წელს იყო 512 ადამიანი.


2008 წელს კახეთში განხორციელდა 2075 ექსკურსია და ჩატარდა 57 გამოფენა.

2008 წელს კახეთში ფუნქციონირებდა 91 ბიბლიოთეკა, ხოლო მთლიანად საქართველოში არსებული ბიბლიოთეკების 11%-ია.



2. ქონების გადასახადი

2008 წელს ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ 5 638.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის მხოლოდ 4.3%-ია.




მათ შორის აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი მიწის გადასახადს უკავია, მთლიანი გადასახადის 58%.

VII. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები


1. საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლები

2008 წელს რეგიონში საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 13458.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლების 2.8 %-ია.



3. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 404.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლის მხოლოდ 1%-ია. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსაკრებლის 39% მხოლოდ თელავის მუნიციპალიტეტზე მოდის.



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრანსფერების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

	გამოთანაბ მიზნობრ. სპეციალ.			სულ:
	ათასი ლარი			
ახმეტა	425,0	120,0	757,8	1 302,8
გურჯაანი	1 774,0	187,0	776,2	2 737,2
დედოფლისწყარო	251,0	137,0	1 015,4	1 403,4
თელავი	1 285,0	222,0	1 084,4	2 591,4
ლაგოდეხი	1 923,0	155,0	245,4	2 323,4
საგარეჯო	1 390,0	247,0	572,2	2 209,2
სიდნალი	441,0	176,0	1 137,0	1 754
ყვარელი	429,0	131,0	486,9	1 046,9
სულ:	7 918,0	1 375,0	6 075,3	15 368,3

4. ფინანსური დახმარებები

ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსურმა დახმარებებმა ტრანსფერის სახით 15 368.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით გაცემული ტრანსფერების მხოლოდ 3%-ია.

